საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჟ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №012/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ.-ს მიმართ /სიდითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 22 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჟ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. მ. წარმოადგენს მისი მოპასუხე მხარის ინტერესებს. 2020 წლის 16 იანვარს ყვარლის მაგისტრატ სასამართლოში გამართული სხდომის დასრულების შემდეგ, სასამართლოს კიბეებზე ჩასვლისას, ადვოკატმა თ. მ.-მ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - „თავხედო, როგორც გაგიძლო იმ ოჯახმა ამდენ ხანს“, ასევე მიმართა, რომ სასამართლოს სხდომაზე დააყენებდა შუამდგომლობას მისი ფსიქიატრიული შემოწმების მიზნით, რითაც საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მას „გიჟი“ უწოდა. ამ ფაქტის შემსწრე იყო სასამართლოში მყოფი დაცვის თანამშრომელი და ჟ. ჯ.-ს მამა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია პატივისცემით მოეპყრას ნებისმიერ პირს და მოითხოვს ადვოკატ თ. მ.-ს ქცევა შეისწავლოს ეთიკის კომისიამ.

2. ადვოკატ თ. მ.-ს პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. მ.-მ 2020 წლის 05 მაისს საპროცესო კოლეგიას წარმოუდგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატი არ ადასტურებს ჟ. ჯ.-ს შეურაცხყოფის ფაქტს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 16 იანვარს ის იმყოფებოდა ყვარლის მაგისტრატ სასამართლოში, სადაც წარმოდგენდა ჟ. ჯ.-ს ყოფილი დედამთილ-მამამთილის ინტერესებს. დავის საგანს წარმოადგენდა მცირეწლოვან შვილიშვილთან - ნიკოლოზ ცოგაიძესთან ურთიერთობის დღეების განსაზღვრა. სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მოსამართლეს წარუდგინა ჟ. ჯ.-სთან კომუნიკაციის ამსახველი მოკლე ტექსტური შეტყობინება მორიგების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, რამაც ის გააღიზიანა და აგრესიული გახადა. სხდომაზე ჟ. ჯ.-ს მამა შეეცადა კონფლიქტს, რისთვისაც მოსამართლემ მისცა შენიშვნა. სხდომის დასრულების შემდეგ ადვოკატს გაჰყვნენ ჟ. ჯ. და მამამისი და უყვიროდნენ, რის გამოც ადვოკატმა მოსთხოვა გაჩერება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლოს სხდომაზე ნამდვილად დააყენა შუამდგომლობა დედის გარეშე ბავშვის პაპა-ბებიასთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური დაკვირვების შესახებ, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ის დააყენებს შუამდგომლობას დედის მიმართ ფსიქოლოგიური დაკვირვების შესახებ.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ გასაგებია საჩივრის ავტორის აგრესია მის მიმართ, რადგან სხდომაზე მონაწილე სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ ჟ. ჯ. ცდილობს ხელი შეუშალოს ბავშვის და მამის გ. ც.-ს ურთიერთობას ან კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღსრულებას.

2.5 ადვოკატი მიიჩნევს, რომ კლიენტების ინტერესების დასაცავად გამოხატული პრინციპულობის გამო, საჩივრის ავტორი ცდილობს თავად მიაყენოს შეურაცხყოფა ადვოკატს და ჩამოაშოროს დავას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/.

3.2 ჟ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 22 იანვარს.

3.3 საჩივარში აღნიშნული სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა თ. მ.-მ სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ მიმართა შემდეგი სიტყვებით - „თავხედო, როგორ გაგიძლო იმ ოჯახმა ამდენ ხანს“, ასევე მიმართა, რომ სასამართლოს სხდომაზე დააყენებდა შუამდგომლობას მისი ფსიქიატრიული შემოწმების მიზნით, რითაც საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მას „გიჟი“ უწოდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. მ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ მუხლის „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, რისთვისაც უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.5 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამომდინარეობს პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებიდან, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილე პირის, მათ შორის მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებები, გამოიჩინოს პატივისცემა და საკუთარი აზრის გამოხატვისას იყოს კორექტული.

5.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიებს ადვოკატი არ ადასტურებს და მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან არასდროს ჰქონდა ადგილი ჟ. ჯ.-ს შეურაცხყოფას. ადვოკატი ადასტურებს, რომ მან მხარეს უთხრა

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, რაზედაც სასამართლოს საჭიროების შემთხვევაში მიმართავს, თუმცა ჟ. ჯ.-სთვის არ უწოდებია - „თავხედო, როგორ გაგიძლო იმ ოჯახმა ამდენ ხანს“.

5.7 მაშინ როდესაც, საქმეში წარმოდგენილია მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები, მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტებთან შემხებლობის მქონე მტკიცებულებებს, რადგან მათი არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი საჩივრის ავტორის პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმება.

5.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ სიტყვა „თავხედის“ წარმოთქმა ცდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებს და ადვოკატის მიერ ამ ფრაზის გაჟღერება იწვევს ეთიკური ვალდებულების დარღვევას. თუმცა, საქმეში არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მხრიდან აღნიშნული ფრაზის წარმოთქმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება კი ვერ წარმოშობს დასაბუთებულ ვარაუდს იმისთვის, რომ ადვოკატმა დაარღვია პროცესის მონაწილე მხარის პატივისცემის ვალდებულება მისთვის შეურაცხმყოფელი ფრაზის წარმოთქმით.

5.9 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიმართვა, რომ ის მზად არის მოითხოვოს ჟ. ჯ.-სთვის ფსიქიკური ექსპერტიზის ჩატარება არ გულისხმობს პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფას, ვინაიდან მსგავსი შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს ნებისმიერ პროცესის მონაწილე მხარეს და მათ წარმომადგენელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავის საგანი გამომდინარეობს საოჯახო სამართლებრივი დავიდან.

5.10 ასევე, არ დასტურდება ადვოკატ თ. მ.-ს მხრიდან ჟ. ჯ.-ს მიმართ სიტყვა - „გიჟის“ წარმოთქმა, რადგან თავად საჩივრის ავტორის განმარტება მიუთითებს მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე ადვოკატის მიერ წარმოთქმული ფრაზის მიმართ და სიტყვა „გიჟთან“ მის გაიგივებაზე.

5.11 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. მ.-ს ქცევაში არ გამოიკვეთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №107/19 ადვოკატ ლია ხუროშვილის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/